აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-10

23 03 2018წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის, 27-ე მუხლის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის N09-206 გადაწყვეტილების, რექტორის 2018 წლის 25 იანვრის N1-05 ბრძანებისა და სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეზე, კონკურსის წესით, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულ იქნენ ქვემოთ ჩამოთვლილი პირები:

ა) საქართველოს ისტორია

ა.ა) იოსებ ალიმბარაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

ბ) ქართული ლიტერატურის ისტორია

ბ.ა) გიორგი ხორბალაძე - ასოცირებული პროფესორი.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი